

ტესტის სახელწოდება

პარათჰორმონის ანალიზი (პარათიროიდული ჰორმონი - PTH)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში პარათიროიდული ჰორმონის დონეს განსაზღვრავს.

პარათიროიდული ჰორმონი (პარათჰორმონი) გამომუშავდება ფარისებრახლო (ანუ პარათიროიდული) ჯირკვლების მიერ. იგი სისხლში კალციუმის დონის რეგულირებაში მონაწილეობს.

პარათჰორმონი სისხლში კალციუმის დაბალი დონის საპასუხოდ გამოთავისუფლდება. ეს ჰორმონი კალციუმის დონეს, ძირითადად, სამი მექანიზმით ზრდის:

- ასტიმულირებს კალციუმის გამოთავისუფლებას ძვლებიდან სისხლში;
- ასევე ასტიმულირებს ვიტამინ D-ს არააქტიური ფორმიდან აქტიურ ფორმად გარდაქმნას, რაც ნაწლავებში კალციუმის შეწოვას ზრდის;
- პარათჰორმონი მოქმედებს თირკმელებზე და კალციუმის შარდთან ერთად ექსკრეციას თრგუნავს.

როდესაც კალციუმის რაოდენობა მოიმატებს, პარათჰორმონის დონე ქვეითდება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

პარათჰორმონის ანალიზი ექიმს ეხმარება შეაფასოს, რამდენად ნორმალურად ფუნქციონირებს კალციუმის დონის მარეგულირებელი სისტემა. იგი ძირითადად შემდეგ შემთხვევებში ინიშნება:

- როდესაც პაციენტს ჰიპოკალცემიის ან ჰიპერკალცემიის ნიშნები აქვს;
- როდესაც პაციენტს კალციუმის დონე მომატებული ან დაქვეითებული აქვს;
- ფარისებრახლო ჯირკვლების ფუნქციის შესაფასებლად; ჰიპო- ან ჰიპერპარათირეოზის სადიაგნოსტიკოდ.
- პარათჰორმონის დონის მონიტორინგი ასევე ხდება თირკმელების ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებში;

ჩვეულებრივ, პარათჰორმონის ტესტი კალციუმის ანალიზთან ერთად ინიშნება.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

სისხლის უზმოზე აღება აუცილებელი არ არის. გასათვალისწინებელია, რომ პარათჰორმონის დონე მომატებულია ვიტამინ D-ის ნაკლებობისას და პირიქით - დაქვეითებულია ვიტამინ D-ის სიჭარბისას. ამის გამო, პარათჰორმონის დონე სეზონურ ცვალებადობას ამჟღავნებს.

დღის განმავლობაში პარათჰორმონის დონე ყველაზე მაღალია ძილის საათებში. დილით და შუადღისას, როდესაც ანალიზისთვის სისხლის აღება ხდება, მისი დონე დაბალია.

შესაბამისად, ექიმმა უნდა გადაწყვიტოს ანალიზისთვის სისხლის აღების ოპტიმალური დრო.

ზოგიერთმა სამკურნალო საშუალებამ (სტეროიდები, ანტიკონვულსანტები, ა.შ.) შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად მისგან ინსტრუქციების მიღება აუცილებელია.

შედეგების ინტერპრეტაცია

შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

პარათჰორმონის ანალიზის შედეგების ინტერპრეტირებისას, აუცილებელია კალციუმის დონის გათვალისწინება.

თუ კალციუმის და პარათჰორმონის დონეები ნორმაშია, კალციუმის დონის მარეგულირებელი სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებს.

თუ კალციუმის დონე დაქვეითებულია, ხოლო პარათჰორმონის - მომატებული, ეს ფარისებრახლო ჯირკვლების ნორმალურ პასუხზე მიუთითებს და ამ შემთხვევაში დასადგენია ჰიპოკალცემიის გამომწვევი მიზეზი.

კალციუმის დაბალი კონცენტრაციის პირობებში, პარათჰორმონის დაქვეითებული დონე ფარისებრახლო ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითებაზე (ჰიპოპარათირეოზზე) მიუთითებს, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული.

თუ კალციუმის დონე მომატებულია, პარათჰორმონის კი დაქვეითებული, ეს ფარისებრახლო ჯირკვლების ნორმალურ პასუხზე მიუთითებს; ასეთ შემთხვევაში დასადგენია ჰიპერკალცემიის გამომწვევი მიზეზი.

თუკი მომატებული ან ნორმალური კალციუმის დონის ფონზე, პარათჰორმონის დონეც მაღალია, ეს ფარისებრახლო ჯირკვლების ფუნქციის მომატებაზე (ჰიპერპარათირეოზზე) მიუთითებს. ხშირად ამის მიზეზი პარათირეოიდული ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნეა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ჰიპერპარათირეოზის გამომწვევი მიზეზი კიბო შეიძლება იყოს.